

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოლოგიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 12 კრედიტს, საიდანაც 90 კრედიტი ეთმობა სპეციალობის თეორიული დისციპლინების ათვისებას (მათ შორის 20 კრედიტი - არჩევით კურსებს), 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ამ პროფილის ფილოლოგების მომზადება. სამაგისტრო პროგრამა მოზნად ისახავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მიმართოს მაგისტრანტის ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რომელიც მოიცავს კომპარატივისტიკას, ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქონალიზს, რეცეფციულ ესთეტიკას, დეკონსტრუქციას და სხვა.</li> <li>- თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღება გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზე, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გავლენით.</li> <li>- მოამზადოს მაგისტრები ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკის, ქართული ლიტერატურის, ევროამერიკული ლიტერატურის, სლავური ლიტერატურის და ფოლკლორისტიკის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის;</li> <li>- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და სპეციალისტს მუშაობა შეეძლება: საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში; ბიბლიოთეკებში; საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში; რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად; არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად.</li> </ul>
სწავლის შედეგები	<p>აქვს ლიტერატურის თეორიული საფუძვლებისა და ანალიზის პრინციპების დრმა და სისტემური ცოდნა, შეუძლია ლიტერატურისა და ფოლკლორის კვლევა შედარებითი მეთოდის გამოყენებით; იცის საზღვარგარეთულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტები; შეუძლია ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში ასახულ ინტერკულტურულ ფასეულებათა გააზრება, ტიპოლოგიური კავშირების დადგენა და შეფასება; იცის ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის კვლევის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, უახლესი მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც შესრულებულია კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; აცნობიერებს ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს. აქვს მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ძეგლებსა და მათ ავტორებზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და მათ მთქმელებზე მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტაციის უნარი; შეუძლია მხატვრულ ლიტერატურასა და ფოლკლორზე რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია მოპოვებულ მასალასა და მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის, ასევე, ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკის, ფოლკლორისტიკისა და, ზოგადად, სულიერი კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) მაღიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას

	სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: <b>რამაზ ხალვაში</b> , პროფესორი მობ.: 893-357-957; e-mail: <a href="mailto:ramaz.khalvashi@bsu.edu.ge">ramaz.khalvashi@bsu.edu.ge</a>